



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება:ბ49.49221571

თარიღი:06/06/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
გელა თათარაშვილის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლებისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. გელა თათარაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მივლინებული იქნეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ბორჯომში სასტუმროში `Crovne Plaza~`ში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიწვევით, (თემა - „ადამიანის უფლებების შესახებ მონაცემების შეგროვება და აღნიშნული მონაცემთა სარგებლობა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, გენდერული თანასწორობის, შშმ პირთა და სხვა საკითხებზე“), 2022 წლის 8-10 ივნისს.

2. გელა თათარაშვილის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მაია ბერაძეს.

3. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თეიმურაზი ჭეიშვილის მივლინების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 1 ივნისის №ბ49.49.221521 ბრძანება.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯებისა და მაია ბერაძისათვის დამატებითი

ფუნქციის შესრულებისათვის ანაზღაურება.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

